



აღმოსავლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 16 ივნისი, 2012 წელი

დრო: 15:00 -17.30 საათი

შეხვედრის ადგილი: ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ციხელაშვილი - საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე
2. მანანა ქოჩლაძე - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი
3. თამუნა ჩუგოშვილი - პირველი ჯგუფი, თანაკოორდინატორი
4. პაატა ბელთაძე - მე-2 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
5. ლია თოდუა - მე-3 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
6. მარინე სოლომონაშვილი - მე-4 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
7. ლალი დევიძე - მე-4 ჯგუფი, თანაკოორდინატორი

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრეებს აცნობა, რომ დამტკიცდა ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოსთვის წარდგენილი სამდივნოს პროექტი. პროექტი 8 თვიანია და ძირითადად მოიცავს სამდივნოს ადამიანური რესურსისთვის განკუთვნილ თანხებს, თუმცა პროექტში გათვალისწინებულია ასევე ადმინისტრაციული ხარჯები, რომლის გამოყენებაც უკვე შესაძლებელია სამუშაო ჯგუფების მიერ, კერძოდ: დოკუმენტების, რეკომენდაციების თარგმნა, რეგიონებიდან ჯგუფის წევრების ტრანსპორტირება, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სხვა. პროექტის ბიუჯეტში ჩადებული ასევე საერთო სხდომის ჩატარების, ბათუმის ყოველწლიურ კონფერენციაში საბჭოს წევრებისა და ეროვნული კოორდინატორის მონაწილეობისთვის საჭირო თანხები.

საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა სამუშაო ჯგუფებში წევრი ორგანიზაციების აქტიურობისა და შეხვედრებზე დასწრების პრობლემაზე. წევრების უმეტესობა არასაპატიო მიზეზით არ ესწრება სამუშაო შეხვედრებს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ჯგუფების მუშაობას და უარყოფით გავლენას ახდენს საბოლოო შედეგზე. თავმჯდომარის თქმით, რამდენადაც საერთო სხდომის ჩატარება არ უწევს სამდივნოს პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში, პლატფორმის პოპულარიზაციისა და წევრი ორგანიზაციების გააქტიურების მიზნით შესაძლებელია ბიუჯეტში პლენარული სესიისთვის განკუთვნილი თანხა გამოყენებულ იქნეს პლატფორმის საერთო კონფერენციის ორგანიზებისთვის.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ კონფერენცია წარმართება ტრიალოგის ფორმატში, მოწვეული იქნებიან ევროკავშირის ელჩები და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. კონფერენცია გაიყოფა ორ ნაწილად, პირველ ნაწილში გაიმართება დისკუსია ასოცირების ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მიმართულებებზე, შესაძლებელია გამოიყოს მოცემული მომენტისთვის ყველაზე აქტუალური ერთი ან ორი თემა. მეორე ნაწილი წარმართება სამუშაო სესიის ფორმატში, სადაც მოეწყობა პარალელური დისკუსიები შესაბამისი სახაზო სამინისტროების წარმომადგენლებთან. თითოეულ ბლოკში იქნება სამი მომხსენებელი - პლატფორმის, ევროკავშირისა და მთავრობის წარმომადგენლები. კონფერენციის დასრულებამდე შეჯამდება სამუშაო ჯგუფების დისკუსიის შედეგები და დაიდება საბოლოო შეფასება. გადაწყდა, რომ კონფერენცია გაიმართება სექტემბერში, თუმცა მანამდე აუცილებელია ჩატარდეს სამუშაო ჯგუფის შეხვედრები და შეჯერდეს კონფერენციის დეტალები.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს აცნობა, რომ მისი ინფორმაციით უახლოეს მომავალში ევროკავშირის მხრიდან აქცენტი გაკეთდება კონფლიქტების თემაზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია პლატფორმის ფარგლებში კონფლიქტებზე თემატური ქვე-ჯგუფის ჩამოყალიბება. ასევე სავიზო დიალოგის დაწყების პარალელურად შესაძლებელია შეიქმნას ქვე-ჯგუფი ვიზებზე. ქვე-ჯგუფების ფორმირებისთვის აუცილებელია პირველ და მეოთხე სამუშაო ჯგუფებში კონსულტაციების გამართვა და ზემოთ დასახელებულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების გააქტიურება.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ბრიუსელში თავისი ვიზიტის შესახებ, რომლის დროსაც დაიგეგმა ორი მნიშვნელოვანი შეხვედრა საქართველოში: 3-4 ივლისს თბილისში ჩამოდის ევროსაბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპაი, ხოლო 10 ივლისს - ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე, რომელიც 10-12 ივლისს ბათუმში დაესწრება ყოველწლიურ კონფერენციას "საქართველო ევროპული გზა". თავმჯდომარემ წევრებს აცნობა, რომ მან მთავრობისგან უკვე მიიღო მოსაწვევი, თუმცა მოთხოვნილი ათი მონაწილის ნაცვლად თავმჯდომარესთან ერთად პლატფორმის კონფერენციაზე მიწვეულია მხოლოდ 3 წევრი ორგანიზაცია. შესაბამისად, პრობლემატურია მონაწილეთა შერჩევის საკითხი.

თავმჯდომარის ინფორმაციით, პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს ზემოთ დასახელებული ორივე შეხვედრის დღის წესრიგი. თუმცა, ამ შემთხვევაშიც შეხვედრის მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია. კომისარ ფულესთან შეხვედრის შემადგენლობა განისაზღვრება დაახლოებით 10-15 მონაწილით, ძირითადად საკოორდინაციო საბჭოს წევრები და პლატფორმის რამდენიმე წევრი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

განხილვის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა განსაზღვრეს კომისარ შტეფან ფულესთან შეხვედრაზე განსახილველი სამი ძირითადი თემა: 1. არჩევნები, სასამართლო და მედია; 2. DCFTA და ასოცირების ხელშეკრულება; 3. ვიზის ფასილიტაცია. გადაწყდა, რომ აღნიშნულ თემებზე გაკეთდება საერთო წერილობითი მოხსენება შესაბამისი რეკომენდაციებით და შეხვედრაზე გადაეცემა კომისარ ფულეს. თუმცა საქართველოში არსებული ვითარების შესახებ რეკომენდაციები მიწოდების გარდა საინტერესო იქნება თავად კომისარ ფულესგან DCFTA და ასოცირების ხელშეკრულების მიმდინარეობასა და ვადებზე ინფორმაციის მიღება. წევრები შეთანხმდნენ, რომ ევროკომისართან შეხვედრაზე დააყენებენ საკითხს ასოცირების შეთანხმებაში საქართველოს ევროპული პერსპექტივის შესახებ ჩანაწერის გაკეთების თაობაზე.

ამის შემდეგ საბჭოს წევრებმა განსაზღვრეს ევროსაბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპაისთან შეხვედრის მონაწილეთა შემადგენლობა: საკოორდინაციო საბჭოს წევრები, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო, ევრაზიის ფონდი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი - კახა გოგოლაშვილი, სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტი - ზურაბ ჯაფარიძე, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის - მურმან მარგველაშვილი, ადამიანის უფლებათა ცენტრი - უჩა ნანუაშვილი.

მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორის ინიციატივით შეხვედრაზე განიხილეს წევრ ორგანიზაციებთან პლატფორმის პროექტების გამჭვირვალობისა და ანგარიშგების საკითხი. როგორც საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ევროკავშირის შეზღუდვა იმის თაობაზე, რომ გრანტის მიმღებ ორგანიზაციას უფლება აქვს გაავრცელოს ინფორმაცია პროექტის შესახებ და არა უშუალოდ პროექტი. გარდა ამისა, პროექტის ტექსტის გავრცელება არ არის მიზანშეწონილი, რადგან ყველა ორგანიზაციას აქვს თავისი ინდივიდუალური პროექტების წერის სტრატეგია. მსჯელობის შემდეგ საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ პლატფორმის წევრებისთვის ღია იქნება ინფორმაცია პროექტების ფარგლებში სამუშაო ჯგუფებისთვის დაფინანსებული აქტივობების მოცულობისა და სამდივნოს ფინანსური რესურსების შესახებ. ამ შემთხვევაში საუბარია ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს მიერ დაფინანსებულ სამდივნოს პროექტზე, რადგან ევროკომისიაში წარდგენული მეორე პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში.

შეხვედრის ბოლოს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა წევრებს გააცნო პლატფორმის სამუშაო ჯგუფების მხარდამჭერი ახალი პროექტის კომპონენტები, რომელიც ორიენტირებული იქნება ჯგუფების თემატური მუშაობის წახალისებაზე. პროექტს ეყოლება 6 პარტნიორი, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო იქნება დაფინანსების პირდაპირი მიმღები. რეგრანტიინგი შესაძლებელია მხოლოდ 10 ათას ევრომდე თანხაზე, ამიტომ თავიდანვე უნდა განისაზღვროს იმ ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან პროექტის განხორციელებაზე. ამ შემთხვევაში პრობლემატურია პროექტის მართვის საკითხის განსაზღვრა. გადაწყდა, რომ პროექტის კონცეფცია განსახილველად გადაეცემა სამუშაო ჯგუფებს.

დაახლოებით ორსაათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე: ქეთევან ციხელაშვილი

სამდივნო: სალომე ბულია და ეკა მრულიშვილი